



EUROPEAN PARLIAMENT



**საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია  
განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები, საქართველო - 28 მარტი,  
2004 წელი**

**განცხადება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების თაობაზე**

**თბილისი, 2004 წლის 29 მარტი** – საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია, რომელიც მივლინებულ იქნა განმეორებით საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში, არის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის პარლამენტის ერთობლივი წამოწყება.

ეს წინასწარი განცხადება ქვეყნდება არჩევნების ოფიციალური შედეგების შეჯამებამდე და გამოცხადებამდე, აგრეთვე არჩევნების დღის საჩივრებისა და სარჩელების განხილვამდე. საარჩევნო პროცესის სრული და საბოლოო ანალიზი მოცემული იქნება ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საბოლოო მოხსენებაში.

**წინასწარი დასკვნები**

საქართველოში 2004 წლის 28 მარტს გამართულმა განმეორებითმა საპარლამენტო არჩევნებმა წინა არჩევნებთან შედარებით სანაქებო პროგრესი აჩვენა. 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენა შესაძლებლობა, მიეახლოვებინა საქართველოს საარჩევნო პროცესი დემოკრატიული არჩევნების ევროპულ სტანდარტებთან, მათ შორის ეუთო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან.

თუმცა, 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ჯერაც არ მომხდარა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო ნორმალიზება, რაც საარჩევნო პროცესშიც აისახა. დემოკრატიული საარჩევნო პროცესის კონსოლიდაციის სრულფასოვანი გამოცდა მხოლოდ უფრო კონკურენტულ გარემოში იქნება შესაძლებელი, როდესაც პოლიტიკური პლურალიზმის ჭეშმარიტი დონე აღდგება.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული პირობები კვლავაც არ უწყობდა ხელს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ოპოზიციის მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული დაშინება და ფიზიკური შეურაცხყოფა აჭარის საარჩევნო გარემოში დემოკრატიის სერიოზული დეფიციტის მაჩვენებელი იყო. ასეთმა სიტუაციამ დაჩრდილა ის პროგრესი, რომელიც იქნა მიღწეული დემოკრატიული საარჩევნო პროცესის მხრივ ქვეყნის

დანარჩენ ნაწილში, სადაც არჩევნები გაიმართა და შექმნა არჩევნების ორმაგი სტანდარტი საქართველოში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სანაქებო ძალისხმევა გასწია არჩევნების სანდო და პროფესიონალური ადმინისტრირებისათვის. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა წარსულში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ შემუშავებული ზოგიერთი რეკომენდაცია, რის შედეგადაც საარჩევნო პროცესი საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა, ზოგიერთი რეკომენდაცია, რომელიც უფრო პოლიტიკური ხასიათისა იყო, მაგალითად საპარლამენტო მანდატების მოსაპოვებლად გადასალახი 7%-იანი ბარიერის დაწევა, რეაგირების გარეშე დარჩა. ზოგიერთ შემთხვევაში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია საკუთარ უფლებამოსილებას აჭარბებდა, მაგალითად, როდესაც ის გადასწევდა კანონით დადგენილ საბოლოო ვადებს და თავისი დადგენილებებით სხვა საკანონმდებლო დებულებებს ცვლიდა.

პრეზიდენტ სააკაშვილის წინადადება, ხუთიდან სამამდე შეემცირებინა მის მიერ დანიშნულ წევრთა რაოდენობა ზოგიერთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში, იყო პასუხი იმ შემთხვევაზე, რომელიც საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური ბალანსის არარსებობით იყო გამოწვეული. თუმცა, პრეზიდენტის დათმობა და მის შედეგად საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები საარჩევნო პროცესის გვიან ეტაპზე განხორციელდა, არ იყო დარეგულირებული კანონით და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზეც უნდა გავრცელებულიყო.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების უუნარობა, დაეცვათ სათანადო დისტანცია მმართველი პარტიებისგან, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ჩარევა ქვედა დონის კომისიების საქმიანობაში, კვლავაც სერიოზულ შემთხვევებს იწვევს. ყველა დონის საარჩევნო ორგანოების დამოუკიდებლობის გაძლიერება მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც უნდა გადაიჭრას.

მართალია ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების დომინანტურმა პოზიციამ ამ არჩევნების დროს ნაკლებად პლურალისტული გარემოს შექმნა განაპირობა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა, საერთო ჯამში, 16 პოლიტიკურმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა მიიღო, რომლებიც ფართო პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენდნენ და არჩევანის გარკვეულ ხარისხს უზრუნველყოფდნენ. აჭარის გამოკლებით, არჩევნების მონაწილეებს კამპანიის თავისუფლად წარმართვის საშუალება ჰქონდათ. თუმცა, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა პასიურობდა, რაც ასევე ძალზედ პასიურ კამპანიაში აისახა. პარტიები მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ბოლო კვირაში გააქტიურდნენ.

მედიის ფართო და მრავალფეროვან სპექტრს კამპანიისა და საარჩევნო სამზადისის თავისუფლად გაშუქების საშუალება ჰქონდა. თუმცა, სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში ძალზედ დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ პარტიებს, ხოლო პოლიტიკური დებატებისა და აზრთა გაცვლისათვის საკმარისი საეთერო დრო გამოყოფილი არ იყო. აჭარის ტელევიზია კვლავაც ამჟღავნებდა აშკარა მიკერძოებას აჭარის ხელისუფლების სასარგებლოდ. მედიის მიერ საარჩევნო პროცესის გაშუქება კიდევ უფრო მეტად შეიზღუდა იმის გამო, რომ პარტიების უმრავლესობა თვალსაჩინო და ეფექტიან კამპანიას არ აწარმოებდა.

საარჩევნო დამკვირვებელთა მისია ამ არჩევნებში შემდეგ პოზიტიურ ელემენტებს აღნიშნავს:

- საარჩევნო პროცესის ადმინისტრირების გაუმჯობესება;
- უფრო პროფესიონალური და ღია ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- სანაქებო ძალისხმევა მიმართული ამომრჩეველთა სიების გაუმჯობესების, კომპიუტერიზაციისა და კონსოლიდაციისაკენ, თუმცა ეს სიები კვლავაც არასრულია;
- მშვიდობიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო პერიოდი, აჭარის გამოკლებით, თუმცა კამპანია გვიან დაიწყო და შეზღუდულ ხასიათს ატარებდა;
- მედიის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება, აჭარის გამოკლებით;
- ძალისხმევა, მიმართული არჩევნებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ზრდისაკენ, მათ შორის ორენოვანი ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა ინფორმირების მასალების დაბეჭდვა;
- ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გაუმჯობესებული მომზადება.
- ბიულეტენების მეტი ფარულობა;
- ნაკლები რაოდენობით პოლიციელების ყოფნა საარჩევნო უბნებში და მათ სიახლოვეს.

თუმცა, კვლავაც არის საკითხები, რომლებიც შემოფოთებას იწვევს:

- აჭარის ხელისუფლებას სავსებით არ სურს შექმნას სათანადო პირობები ამ რეგიონში სრულფასოვანი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად;
- სახელმწიფო ადმინისტრაცია და პოლიტიკური პარტიების სტრუქტურები კვლავაც არ არ ეთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული და სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა კვლავ არსებობს;
- არ ხერხდება ყველა დონეზე საარჩევნო კომისიების დაბალანსებული შემადგენლობის ფორმირება;
- ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ჩარევა ქვედა დონის მთელი რიგი კომისიების საქმიანობაში, რაც ამცირებს მათ დამოუკიდებლობას;
- სახელმწიფო ტელევიზიის უუნარობა უზრუნველყოს საარჩევნო კამპანიის გაწონასწორებული გაშუქება და შეასრულოს პოლიტიკური დებატებისა და აზრთა გაცვლის ფორუმის როლი;
- პარლამენტში ადგილების მოსაპოვებლად გადასალახნი 7%-იანი ბარიერის შემცირების სურვილის არარსებობა მცირე ხნის წინათ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების დროს;
- 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, შემცირებული ყურადღება ადგილობრივი დამკვირვებლების მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში. თუმცა, არჩევნების დღეს, ადგილობრივი დამკვირვებლები გაცილებით უფრო მეტ საარჩევნო უბანში იყვნენ, ვიდრე წინა არჩევნების დროს.

არჩევნების დღეს, ხმის მიცემა წყნარ და მნშვიდობიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა. საუბნო საარჩევნო კომისიები ზოგადად კოლეგიალურად მუშაობდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული მომზადება დადებითად აისახა მათ საქმიანობაზე. დამკვირვებელთა შეფასებით, საუბნო საარჩევნო კომისიათა 80%-მა ხმის მიცემის ორგანიზება კარგად ან ძალზედ კარგად შეძლო და იცოდა, თუ როგორ უნდა წარემართა პროცესი. არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციას ადგილი ჰქონდა მონახულებული საარჩევნო უბნების 90%-ში. აჭარაში, როგორც ჩანს, დარღვევები ნაკლებად სისტემატური იყო, თუმცა

არსებობს ინფორმაცია ცალკეული დარღვევების შესახებ. დარღვევები ხმის მიცემის პროცესში კვლავაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მარნეულში, გარდაბანში და ტყიბულში, სადაც, დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, ადგილი ჰქონდა მრავალჯერადი ხმის მიცემისა და ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევებს, აგრეთვე ამომრჩეველთა აქტივობის საეჭვოდ მაღალ მაჩვენებლებს.

საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიაში წარმოდგენილი ინსტიტუტები მზად არიან კვლავაც დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის დარჩენილი ნაკლოვანებების გამოსწორებაში, რათა ჩატარდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს, როგორც ეუთო-სა და ევროპის საბჭოს წევრის ვალდებულებებთან და სხვა ევროპულ სტანდარტებთან.

## წინასწარი შედეგები

### ფონი

28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნებით დასრულდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მეოთხე პარლამენტის არჩევა. 2003 წლის 2 ნოემბერს გამართული არადამაკმაყოფილებელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ ბათილად სცნო არჩევნების პროპორციული კომპონენტის შედეგები. თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, მაჟორიტარული არჩევნების შედეგები არ გასაჩივრებულა, მიუხედავად იმისა, რომ მათი გარკვეული ნაწილი ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო. აქედან გამომდინარე, 28 მარტს მხოლოდ ხელახალი პროპორციული არჩევნები გაიმართა, აგრეთვე მაჟორიტარული არჩევნები ორ ოლქში (ბოლნისი და ჭიათურა).

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ, 2004 წლის 4 იანვრისათვის დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებიც აღინიშნა შესამჩნევი პროგრესით წინა არჩევნებთან შედარებით. მიხეილ სააკაშვილი არჩეულ იქნა პრეზიდენტად ხმათა 96,2 %-ით. მან დანიშნა ზურაბ ჟვანია ჯერ სახელმწიფო მინისტრად, ხოლო შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, პრემიერ მინისტრად. მთავრობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ფართოდ გაშუქებული და მძლავრი ანტი-კორუფციული კამპანიის დაწყება, რასაც რამოდენიმე პირის დაპატიმრება მოჰყვა.

ნოემბრის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური გარემო მკვეთრად შეიცვალა. პარტიებმა, რომლებიც წარმართავდნენ ნოემბრის მოვლენებს – ნაციონალურმა მოძრაობამ და ბურჯანაძე დემოკრატებმა – განახორციელეს საკუთარი აღმასრულებელი ძალაუფლების კონსოლიდაცია და გაერთიანდნენ. ყოფილი მმართველი პარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, პოლიტიკური სცენიდან გაქრა. დაქსაქსულმა ოპოზიციამ კონსოლიდაცია საარჩევნო ბლოკების შექმნის გზით სცადა: ახალმა მემარჯვენეებმა შექმნეს კოალიცია მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსთან ერთად, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ტრადიციონალისტებთან გაერთიანდა.

2004 წლის 6 თებერვალს, პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებები, რის შედეგადაც, სხვა სიახლეებთან ერთად, გაძლიერდა აღმასრულებელი შტოს პოზიცია პარლამენტთან მიმართებაში და შემოღებულ იქნა პრემიერ მინისტრის თანამდებობა. კრიტიკა გამოიწვია ცვლილებების თაობაზე საჯარო დისკუსიისა და ინფორმაციის ნაკლებობამ, რადაგანც ხელისუფლებამ უგულებელყო საკანონმდებლო დებულებები, რომელთა თანახმად, ცვლილებების მისაღებად ერთიანი საჯარო დებატებია საჭირო. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მოწოდება, რომ შემდგარიყო შემდგომი განხილვა და მომხდარიყო შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების დახვეწა მათ მიღებამდე, არ იქნა გათვალისწინებული. შემდგომში, ევროპის პარლამენტმა ასევე გააკრიტიკა ის, თუ როგორ იქნა მიღებული ცვლილებები.

აჭარაში ვითარება კვლავაც დაძაბული იყო. მართალია 23 ნოემბრის შემდეგ გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ შეზღუდა კამპანიის წარმოების შესაძლებლობა, მაგრამ პარტიები, რომლებიც აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძის ოპოზიციას წარმოადგენენ, გაერთიანდნენ და შექმნეს მოძრაობა „ჩვენი აჭარა.“ საქართველოს მთავრობასა და აჭარის ხელისუფლებას შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაუარესდა უკანასკნელ კვირებში. 14 მარტს, პრეზიდენტ სააკაშვილს არ მისცეს საშუალება შესულიყო აჭარაში, სადაც იგი კამპანიის წარმოებას აპირებდა. საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ დააწესა სანქციები აჭარის მიმართ და დაძაბულობამ მნიშვნელოვნად იმატა. ვითარება თითქოსდა მოგვარებულ იქნა 18 მარტს გამართული სააკაშვილისა და აბაშიძის შეხვედრის შედეგად.

ისევე, როგორც წინა არჩევნების დროს, ხმის მიცემა არ გამართულა აფხაზეთში და ჯავისა და ცხინვალის ოლქებში (სამხრეთ ოსეთი).

საერთაშორისო თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი დაფინანსება და ტექნიკური დახმარება გამოყო საპარლამენტო არჩევნებისათვის, ძირითადად ეუთო-ს საარჩევნო დახმარების პროგრამის მეშვეობით, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ არჩევნების ჩატარებაში.

### საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო

პარლამენტი აირჩევა ოთხწლიანი ვადით და შედგება 235 დეპუტატისაგან, რომლებიც შერეული საარჩევნო სისტემით არიან არჩეულნი. 150 მანდატი ნაწილდება პროპორციული სისტემით საერთო ეროვნული საარჩევნო სიების მეშვეობით, ხოლო 85 მანდატის მფლობელები მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში აირჩევიან. არჩევნების პროპორციული კომპონენტი ერთიან საარჩევნო ოლქში ტარდება. პარტიებმა და ბლოკებმა უნდა მიიღონ ხმების სულ მცირე 7%, რათა მოიპოვონ მანდატები. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ეუთო-ს მიერ წარსულში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 23 მარტს მიიღო დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს 7% ბარიერის დაანგარიშების წესს. თუმცა, არჩევნების წინ, თბილისის საოლქო სასამართლომ გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, რის შედეგადაც გაურკვეველი დარჩა ის უმნიშვნელოვანესი საკითხი, თუ როგორ დაითვლება საბოლოოდ 7%-იანი ბარიერი.

ერთიანი საარჩევნო კოდექსი, რომელიც არჩევნების მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მთლიანობაში ადეკვატურ საფუძველს ქმნის დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოცემული ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აგრეთვე წამოაყენა წინადადება ერთიან საარჩევნო კოდექსში მთელი

რიგი ცვლილებების მიღების თაობაზე, რომლებიც ძირითადად ტექნიკურ საკითხებს უკავშირდებოდა, მაგრამ ძველმა პარლამენტმა ვერ მოახერხა მათი დამტკიცება.

### საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა სამ ღონეს მოიცავს: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 75 საოლქო საარჩევნო კომისია და დაახლოებით 2860 საუბნო საარჩევნო კომისია. ძალაში დარჩა 2003 წლის აგვისტოში მიღებული გარდამავალი საკანონმდებლო დებულებები საარჩევნო კომისიების შემადგენლობის თაობაზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო არჩევნების გამართვა აჭარაში, სადაც საარჩევნო კომისიები პოლიტიკურად პოლარიზებული იყო და ადგილობრივი ხელისუფლება არ ავლენდა თანამშრომლობის სურვილს. დაძაბულმა წინასაარჩევნო ვითარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა არჩევნებისათვის მზადებაზე. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სცადა განეხორციელებინა საკუთარი უფლებამოსილებანი აჭარის 6 საოლქო საარჩევნო კომისიასთან მიმართებაში. მაგალითად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თანამდებობიდან დაითხოვა ორი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომლებმაც არ დაიცვეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებები. მიუხედავად ამისა, კომისიების მრავალი წევრი, მათ შორის თავმჯდომარეები, ადგილობრივი ხელისუფლების ერთგული იყო ან არ შეეძლო მათგან დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამრიგად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ შეეძლო აჭარაში საარჩევნო პროცესის სრულად გაკონტროლება.

ხელისუფლებამ განახორციელა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მთელი რიგი რეკომენდაციები, მათ შორის ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები, რაც დიდად განსხვავდება წარსულში არსებული პრაქტიკისაგან. მაგალითად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოაყენა წინადადება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში მის მიერ დანიშნული წევრების რაოდენობის ხუთიდან სამამდე შემცირების თაობაზე, თუმცა არა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, და ამრიგად, კომისიებში არსებულ დისბალანსთან დაკავშირებული შემოფთება ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა. კომისიებში ადგილების ამგვარი „გადანაწილებით“ ისარგებლეს „ერთობამ“, ედუ-ტრადიციონალისტების ბლოკმა და, უფრო მცირე მასშტაბით, სოციალისტურმა პარტიამ. თუმცა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე ერთგვარი დაბნეულობა წარმოიშვა იმის გამო, რომ ეს გადაწყვეტილება დაგვიანებით იქნა მიღებული, მის განხორციელებას გაურკვევლობა ახლდა თან და კომისიების შემადგენლობაში ცვლილებები გრძელდებოდა. მოკლე ვადებში განხორციელებულ შესამჩნევ დადებით ცვლილებებს შორის იყო:

- ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზაცია და კონსოლიდაცია მონაცემთა ცენტრალურ ბაზაში;
- უფრო ეფექტიანი და პროფესიონალური საარჩევნო აპარატი ცენტრალურ დონეზე;
- მზადყოფნა, რომ პასუხისმგებაში მიეცათ საარჩევნო დარღვევებში დანაშაუვ პირები;
- საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმის შემოღება, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ცხრილს შეიცავს, რაც საშუალებას აძლევს პარტიებს გადაამოწმონ საოლქო დონეზე შედეგების დათვლის სისწორე. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს გაყალბების აღკვეთას ან შესაძლებელი გახდეს გაყალბების გამოვლენა;

- მეტი ყურადღება ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირების მომზადებისადმი, განსაკუთრებით შედეგების ოქმების შევსების პროცედურათა საკითხში;
- ეროვნული უმცირესობების ენებზე დაბეჭდილი ბიულეტენებისა და საინფორმაციო საარჩევნო მასალების შემოღება. თუმცა, სასურველია, რომ მომავალი არჩევნების დროს ამ ენებზე ოქმებიც დაიბეჭდოს;
- რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის გამოთვლის მეთოდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- არჩევნების დღეს საჩივრების წარდგენის პროცედურის გაუმჯობესება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ხშირად იკრიბებოდა და გადაწყვეტილებებს ზოგადად გამჭვირვალედ იღებდა. ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული მრავალი დადგენილება და სხვა ქვემდებარე საკანონმდებლო აქტები წარმოადგენდა დადებით ცვლილებებს, რომლებიც ერთიანი საარჩევნო კოდექსის სათანადოდ განხორციელებისათვის იყო აუცილებელი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია იღებდა დადგენილებებს, რომლებიც ერთიანი საარჩევნო კოდექსს ეწინააღმდეგებოდა და შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც უფლებამოსილებათა გადამეტება. მაგალითად, კომისია ხშირად ცვლიდა კანონით დადგენილ საბოლოო ვადებს. თუმცა, ასეთი პრაქტიკა წინააღმდეგობას იშვიათად აწყდებოდა.

აჭარის გამოკლებით, საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნების დღემდე ზოგადად გამოხატავდნენ ნდობას ქვედა დონის კომისიების მიმართ. საოლქო საარჩევნო კომისიათა უმრავლესობა ეფექტიანად ფუნქციონირებდა, თუმცა კვლავაც აქტუალური იყო მათი საქმიანობის გამჭვირვალეობის საკითხი. ამავე დროს, ადგილი ჰქონდა დისბალანსს წევრთა დანიშვნის პროცესში და ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების წარმომადგენლებს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წამყვანი თანამდებობების დიდი უმრავლესობა ეკავათ. 18 ოლქში დამკვირვებლებმა მიიღეს სანდო ინფორმაცია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან ადგილი ჰქონდა მიკერძოებას ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების ან „აღორძინების“ სასარგებლოდ.

მეტიც, ის ფაქტი, რომ ვერ მოხერხდა, ერთი მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციის, ხოლო, მეორე მხრივ, პარტიული აქტივისტების, ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების როლების და ფუნქციებისა მკაფიოდ გამიჯნვა, წარმოადგენდა სერიოზულ დაბრკოლებას პროფესიონალური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების გზაზე. ახალმა ხელისუფლებამ მიზანდასახული ძალისხმევა უნდა გასწიოს, რათა აღმოფხვრას ეს ნაკლოვანება მომავალ არჩევნებამდე.

#### ამომრჩეველთა რეგისტრაცია

4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო ამომრჩეველთა ხელნაწერი სიების კონსოლიდაცია ერთიანი კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზაში. ამ მონაცემების სიზუსტე გადამოწმებულ იქნა და მრავალი შეცდომა გასწორდა. დამკვირვებლებმა გამოხატეს მეტი ნდობა ამომრჩეველთა სიების მიმართ, თუმცა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირების რიცხვი. ამასთანავე, შემჩნეულ იქნა ნაკლოვანებები, მათ შორის

საკმაოდ დიდი რაოდენობა სიებში შეყვანილი პირებისა, რომელთა პირადობის დამდასტურებელი მოწმობების ნომრები არ იყო მოცემული, აგრეთვე შემოფოტება იმის გამო, რომ ზოგიერთი ამომრჩეველი რეგისტრირებული იყო იმ უბანში, რომელიც არ წარმოადგენდა მის ოფიციალურ საცხოვრებელ ადგილს. უნდა გაგრძელდეს მონაცემთა კონსოლიდაცია და შეცდომების გასწორება და სიები მუდმივად უნდა განახლდეს, რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს მათი ხარისხი და ყოვლისმომცველობა.

ახალი, ნაბეჭდი სიები საჯაროდ ორი კვირის მანძილზე იყო გამოკრული, რაც საშუალებას აძლევდა მოქალაქეებს შეემოწმებინათ მონაცემები და გაეგოთ რეგისტრაცია, თუ ისინი არ იყვნენ შეყვანილნი სიებში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამზადა ამომრჩეველთა სიები იმ ენებზე, რომლებზეც ისინი თავდაპირველად იქნა შედგენილი, რის შედეგადაც პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდა ქართული ენის არმცოდნე ამომრჩეველებისათვის. თუმცა, შესაბამისი უნარ-ჩვევების არმქონე თანამშრომლების ნაკლებობამ და შედარებით ცუდმა მონაცემებმა ხელი შეუშალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დადგენილ საბოლოო ვადებში ზუსტი სიების მომზადებაში და ადგილი ჰქონდა შეყოვნებებს.

ხელახალი რეგისტრაციის პერიოდში, დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიათა უმეტესობა ღია იყო. თუმცა, ზოგიერთ ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების უმეტესობა დახურული იყო ან არ აქვეყნებდა სიებს საჯაროდ. ზოგადად, პროცედურებს სწორად ასრულებდნენ. აჭარის გამოკლებით, ამ პერიოდში დამატებით მხოლოდ 20 515 ამომრჩეველი იქნა რეგისტრირებული, რაც ამომრჩეველთა პასიურობისა და ინტერესის ნაკლებობის მანიშნებელი იყო. ასეთი განწყობა შემდგომშიც შენარჩუნდა, მიუხედავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მცდელობისა აქტიურობისა საზოგადოების გათვითცნობიერებულობა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ 8 მარტიდან 21 მარტამდე აჭარაში რეგისტრაცია 103 838 ამომრჩეველმა გაიარა. მიუხედავად აჭარის ხელისუფლების თხოვნისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა არ გაეგრძელებინა რეგისტრაციის პერიოდი.

მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ რეგისტრაცია არჩევნების დღეს გაეარათ. მართალია საარჩევნო კოდექსი ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ ეს პრაქტიკა გამართლებულია ამჟამინდელ პირობებში, თუმცა ის აღარ უნდა განმეორდეს მომავალი არჩევნების დროს. ამავე დროს, საუბნო საარჩევნო კომისიებს დაევალიათ იმის უზრუნველყოფა, რომ არჩევნების დღეს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფლება გაეგოთ რეგისტრაცია სათანადოდ გადამოწმებულიყო. საუბნო საარჩევნო კომისიებს ასევე მკაცრად უნდა დაეცვათ სხვა პროცედურები, რათა მრავალჯერადი ხმის მიცემა შეუძლებელი ყოფილიყო. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ წესს ამ არჩევნებში ნაკლები მონღომებით იცავდნენ.

აჭარის ამომრჩეველთა სიების კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სადავო საკითხი იყო ამ არჩევნების დროს და ამ საკითხს შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითების საფუძველზე, აჭარის ხუთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ გადმოაგზავნა 2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოყენებული ამომრჩეველთა სიები. ამ ჩანაწერების ამომრჩეველთა ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში შეტანის დროს, ნათელი გახდა, რომ მონაცემების ხარისხი მთლიანობაში ძალზედ დაბალი იყო. ზშირად, გამოტოვებული იყო უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, მაგალითად ამომრჩეველთა მისამართები, რაც შეუძლებელს ხდიდა ამომრჩეველთა სრულფასოვანი ნაბეჭდი სიების დამზადებას. შედეგად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ



ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა აჭარაში ამომრჩეველთა სრული ხელახალი რეგისტრაციის დაწყებისა. აჭარაში არსებულმა გაურკვევლობამ და დაძაბულმა წინასაარჩევნო გარემომ გაველენა მოახდინა ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესზე ამ რეგიონში. საუბნო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი წევრი არ მონაწილეობდა კომისიების საქმიანობაში, რადგანც არ იყო დარწმუნებული საკუთარ უსაფრთხოებაში, ზოგიერთ ამომრჩეველს კი ხელი ააღებინეს რეგისტრაციის გავლაზე.

### კანდიდატების რეგისტრაცია და კამპანია

მართალია ნაციონალური მოძრაობისა და გაერთიანებული დემოკრატების დომინირების გამო ამ არჩევნების დროს ნაკლებად პლურალისტური გარემო შეიქმნა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას 14 პოლიტიკური პარტია და 5 საარჩევნო ბლოკი იღებდა, რომლებიც ფართო პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენდნენ და არჩევანის გარკვეულ ხარისხს უზრუნველყოფდნენ. თუმცა, 3 პარტიამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი არჩევნების დღემდე მცირე ხნით ადრე განაცხადა.

საარჩევნო კამპანია ძალზედ პასიური იყო. მართალია, აჭარის გამოკლებით, პარტიებს თავისუფლად შეეძლოთ კამპანიის წარმოება ქვეყნის უმეტეს ნაწილში, მაგრამ საჯარო შეხვედრები და პარტიული მიტინგები იშვიათი იყო. დამკვირვებლებმა ბილბორდებისა და პლაკატების მხოლოდ მცირე რაოდენობა შენიშნეს და ისინიც უმეტესწილად კამპანიის უკანასკნელ კვირაში იქნა განთავსებული, რაც საგრძნობლად განსხვავდება 2 ნოემბრის არჩევნების დროს წარმოებული კამპანიისაგან. თუმცა, ადგილი ჰქონდა აგიტაციის მიზნით კარ და კარ სიარულის შემთხვევებს. გარდა ამისა, ბევრ ქალაქში ოპოზიციური პარტიების ოფისები არ მუშაობდა. ბევრი ოპოზიციური პარტიის პასიურობა შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ფინანსების ნაკლებობით 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ. მათგან განსხვავებით, ახლადშექმნილმა მოძრაობა „თავისუფლებამ“, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდია ედგა სათავეში, გახსნა ახალი ფილიალები და, უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში, აქტიური და თვალშისაცემი კამპანია აწარმოა.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა შენიშნეს შემთხვევები, როდესაც კამპანიის მასალები, რომლებიც ძირითადად ახალი ხელისუფლების მხარდამჭერ პარტიებს ეკუთვნოდათ, ქვედა დონის საარჩევნო კომისიების ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შენობებში იყო გამოფენილი. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის კამპანიის მასალები შემჩნეულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების რამოდენიმე შენობაში ქვემო ქართლის რეგიონში, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში თიანეთში, ტყიბულში, გარდაბანში, ლიახვში, ხონში, ამბროლაურში და დუშეთში. ლეიბორისტული პარტიისა და ერთობის კამპანიის მასალები განთავსებული იყო დუშეთის კულტურის სახლში.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში, როგორც კამპანიის შტაბების ან ოლქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მათ შორის იყვნენ: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის კამპანიის რეგიონულ შტაბს ხელმძღვანელობდა; დიდუბე-ჩუღურეთისა და ჩხოროწყის გამგებლები და ამბროლაურის გამგებლის მოადგილე, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ; ქალაქ ამბროლაურის გამგებელი, რომელიც თავის ოფისში მემარჯვენე ოპოზიციის შეხვედრებს

მართავდა; გორის გამგებელი, რომელიც ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მეთაური იყო.

აჭარაში ასრებული სიტუაცია საგრძნობლად განსხვავდებოდა დანარჩენ საქართველოში არსებული ვითარებისაგან. ოპოზიციის თავყრილობები უმეტესწილად იკრძალებოდა, ან მათ ძალის გამოყენებით თავს ესხმოდნენ და ახშობდნენ აჭარის ხელისუფლების მომხრენი, ისე, როგორც ეს მოხდა 20 თებერვალს, ბათუმში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ვალტერ შვიმერის, ვიზიტისას გამართული საჯარო თავყრილობის შემთხვევაში. აჭარის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებს არბევდნენ, ჟურნალისტებსა და ოპოზიციის აქტივისტებს თავს ესხმოდნენ, ხოლო ოპოზიციის მიერ დანიშნულ საარჩევნო კომისიების წევრებს აშინებდნენ. მართალია ძალადობისა და დაშინების შემთხვევებს აჭარაში წინა არჩევნების დროსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამჯერად მათი ინტენსივობა და სიხშირე გაცილებით უფრო მაღალი იყო. მთლიანობაში, აჭარაში არსებული გარემო კვლავაც არ უწყობდა ხელს სრულფასოვანი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

## მედია

მედია პლურალისტულ გარემოში ფუნქციონირებს და აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს.

სახელმწიფო ტელევიზიის 1-ლი არხი იცავდა თავისუფალი საეთერო დროის (ორი საათი ყოველდღიურად) განაწილებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო დებულებებს, თუმცა ეს სულაც არ იყო საუკეთესო საეთერო დრო. ამავე დროს, სახელმწიფო ტელევიზიამ ვერ შეასრულა პოლიტიკური დებატების ფორუმის როლი, რაც აუცილებელია პოლიტიკური პარტიების პლატფორმების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისათვის. წინასწარჩევნო კამპანიის დროს მოძრაობა „ჩვენი აჭარის“ პოლიტიკური რგოლების გადაცემამ, რომლებშიც აშკარად ნოემბრის მოვლენები იყო ნაგულისხმევი, წარმოშვა შემოფოტება სახელმწიფო ტელევიზიის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეს მით უფრო შემაშფოთებელი იყო, რადგანც რგოლი უფასოდ გადაიცემოდა.

სახელმწიფო ტელევიზიის მიერ გამოყოფილი უფასო საეთერო დროის მიღმა მედიის მიერ მოვლენების გაშუქებაში სახელმწიფო ინსტიტუტებისა და წამყვანი პარტიების წარმომადგენლები ღომინირებდნენ, ხოლო ოპოზიცია მეტწილად იგნორირებული იყო. სახელმწიფო ტელევიზია ფართოდ და ძალზედ დადებითად აშუქებდა ამჟამინდელი ხელისუფლების საქმიანობას, უთმობდა რა მთლიანი საეთერო დროის 46%-ს პრეზიდენტს და 20%-ს მთავრობის წევრებს. ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებისათვის დათმობილ დროსთან ერთად (14%), სახელისუფლებო დაჯგუფებამ მთელი საეთერო დროის 80% მიიღო, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მის მიერ კამპანიის გაშუქება გაწონასწორებული არ იყო.

იგივე სურათი იყო სახეზე კერძო ელექტრონულ მედიაში, სადაც ოპოზიციურ პარტიებს დროის შეზღუდული რაოდენობა ეთმობოდა. ტელეკომპანიამ „რუსთავი-2“ ახალი ამბების გაშუქების 38%-ს პრეზიდენტს დაუთმო, დაახლოებით 19% - მთავრობას და 14% - ნაციონალურ მოძრაობა-დემოკრატებს. ტელეკომპანია „იმედში“ ეს მაჩვენებლები იყო შესაბამისად 30%, 22%, 12%. ისევე, როგორც წინა არჩევნების დროს, აჭარის ტელევიზია კვლავაც გადასცემდა აჭარის ხელისუფლებისა და „აღორძინების“ საქმიანობის დადებით და ყოვლისმომცველ გაშუქებას, ხოლო პრეზიდენტის შესახებ მეტწილად ნეგატიური ინფორმაცია

გადაიცემოდა. მეტიც, ამ არხმა დაამტკიცა თავისი მიკერძოებულობა საქართველოს მთავრობასა და აჭარის ხელისუფლებას შორის დაპირისპირების დროს, როდესაც აუდიტორიას მღელვარე პროპაგანდას აწვდიდა.

ბეჭდვითი მედია მოვლენებს ზოგადად უფრო გაწონასწორებულად აშუქებდა, ვიდრე ტელეარხები, რომელთა მონიტორინგსაც საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია ახორციელებდა. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, ადგილი ჰქონდა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური პარტიების კრიტიკას. საგაზეთო ფართის განაწილება პოლიტიკურ ძალებს შორის უფრო გაწონასწორებული იყო, ვიდრე სატელევიზიო საეთერო დროის განაწილება.

პასიური კამპანიის გამო, აგრეთვე იმ მიზეზით, რომ პარტიების უმრავლესობამ ვერ მოახერხა თვალსაჩინო და ეფექტიანი კამპანიის წარმოება, მედიას არ შეეძლო მიეწოდებინა საზოგადოებისათვის ყოვლისმომცველი ინფორმაცია საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტის შესახებ.

### **საარჩევნო დავები**

საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში 28 მარტის არჩევნებთან დაკავშირებით ფორმალური საჩივრების მცირე რაოდენობა იქნა წარდგენილი. ცენტრალურ დონეზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაახლოებით 12 საჩივარი მიიღო, რომელთაგან ორი 28 მარტის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. თბილისის საოლქო სასამართლომ, რომლის იურისდიქციაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე ვრცელდება, განიხილა მხოლოდ რვა საჩივარი ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რომელთაგან ორი დაკმაყოფილდა. საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის მიერ 7% ბარიერის გამოთვლასთან დაკავშირებული საქმის განხილვის მონიტორინგმა წარმოშვა შემოთქმვა ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო დავები გრძელდებოდა როგორც სააპელაციო პალატის, ისე უზენაესი სასამართლოს დონეზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ კვლავაც არსებობს პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია 2 ნოემბრის არადაამაყოფილებელი არჩევნების საფუძველზე ზოგიერთ ოლქში არჩევნების მეორე ტურის გამართვით.

საჩივრების არარსებობა შეიძლება პროცესის გაუმჯობესების, კონკურენციის ნაკლებობის ან კამპანიისთვის დამახასიათებელი ზოგადი აპათიის მანიშნებელი იყოს, ხოლო სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც წარსულში ადმინისტრაციისა და პოლიტიკური პარტიების კონტროლის ფუნქციას ასრულებდნენ, ნაკლებად აქტიური იყვნენ და არცერთი ქმედება და შეცდომა არ გაუსაჩივრებიათ.

### **ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა**

საქართველოში ორი მსხვილი ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს, სომხები და აზერბაიჯანელები, აგრეთვე სხვადასხვა უფრო ნაკლებად მრავალრიცხოვანი უმცირესობები. უმცირესობათა დიდი ნაწილი გარკვეულ რეგიონებშია კონცენტრირებული. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიები არ არსებობს, მაგრამ ზოგიერთმა პარტიამ საკუთარ კანდიდატთა სიაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეიყვანა. თუმცა, მთლიანობაში, ეროვნულ უმცირესობებს კანდიდატების 3%-ზე ნაკლები წარმომადგენდა

და კანდიდატთა არცერთი სია არ ასახავდა მათ ხვედრით წილს მოსახლეობაში. ეროვნული უმცირესობები არ იყვნენ სათანადოდ წარმოდგენილი საარჩევნო კომისიებში იმ რაიონებში, სადაც ისინი ცხოვრობენ.

გარდა იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამზადა ბიულეტენები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და ოქმები ქართულ და რუსულ ენებზე იმ რაიონებისათვის, სადაც ეროვნული უმცირესობები არიან კონცენტრირებულნი, კომისიამ ასევე გამოსცა საუბნო საარჩევნო კომისიების სახელმძღვანელოები და ამომღრველთა ინფორმირების მასალები უმცირესობების ენებზე. ამ მასალებიდან ზოგიერთი არ იქნა დროულად მიწოდებული, რის შედეგადაც მათი ეფექტიანობა შემცირდა. საარჩევნო კომისიების მომზადება უმცირესობების ენებზეც წარმოებდა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში მომზადება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და არსებობს ინფორმაცია, რომ კომისიის წევრები ინფორმაციის გაგების მხრივ სირთულეებს განიცდიდნენ.

### ქალების მონაწილეობა საარჩევნო პროცესში

ქართულ პოლიტიკაში კვლავაც მამაკაცები დომინირებენ, ხოლო ქალების წარმომადგენლობა მთავრობასა და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობაში მცირეა. ნინო ბურჯანაძე, უკანასკნელი პარლამენტის სპიკერი და პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი, არის ყველაზე მაღალი საჯარო თანამდებობის მქონე ქალი. უკანსკნელ პარლამენტში მხოლოდ 17 ქალი იყო (7,2%). უკვე არჩეული 73 მაჟორიტარი კანდიდატიდან მხოლოდ ორია ქალი (2,7%). ახლადშექმნილი მინისტრთა კაბინეტის 20 წევრს შორის მხოლოდ 4 ქალია, ხოლო რეგიონების ახლადდანიშნულ გუბერნატორებს შორის არცერთი ქალი არ არის.

28 მარტისათვის რეგისტრირებულ 2700 კანდიდატს შორის 849 ქალია (31,4%). მათი ხვედრითი წილი ცალკეულ სიებში დიდად განსხვავდება: 13,3%-დან ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების სიაში 62,8%-მდე დემოკრატიული სიმართლის პარტიის სიაში. ქალი სათავეში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების სიას უდგას.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მცირე ხნის წინ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ერთი ქალია, რომელიც „საქართველოს სპორტული კავშირის“ მიერ არის დანიშნული. რაც შეეხება საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ მონახულებულ საოლქო საარჩევნო კომისიებს, თავმჯდომარეთა 79% და თავმჯდომარის მოადგილეთა 77% მამაკაცია, ხოლო მდივნების 63% - ქალი. მონახულებულ საარჩევნო უბნებში თავმჯდომარის ფუნქციას ნაკლები ქალი ასრულებდა, ვიდრე წინა არჩევნებისას.

### სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

არჩევნებზე სამეთვალყურეოდ რეგისტრაცია ადგილობრივი დამკვირვებლების დაახლოებით 30 ორგანიზაციამ გაიარა. თუმცა, ფართომასშტაბიან მეთვალყურეობას მხოლოდ ოთხი მათგანი გეგმავდა: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ფონდი „სამართლიანი არჩევნები“ და ახალი თაობა ახალი ინიციატივა, ხოლო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კონცენტრირებული იყო საოლქო საარჩევნო კომისიების და ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის მეთვალყურეობაზე. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ახორციელებდა ხმების პარალელურ დათვლას,

რაც საშუალებას აძლევდა საზოგადოებას შეეძარებინა მისი მონაცემები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ წინასწარ შედეგებთან.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ფონდი „სამართლიანი არჩევნები“ გამოეყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას, რის შედეგადაც მოხდა ადგილობრივ დამკვირვებელთა საქმიანობის დაქსაქსვა და წარმოიშვა დაბნეულობა დამკვირვებლებს შორის. ზოგიერთ რეგიონში შეიმჩნეოდა გარკვეული კონკურენცია ამ ორ ორგანიზაციას შორის. დადებითი ფაქტია ის, რომ არჩევნების დღეს ისინი ერთობლივ პრეს-კონფერენციებს მართავდნენ. მართალია ადგილობრივი დამკვირვებლები უფრო შესამჩნევნი იყვნენ, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მაგრამ საარჩევნო პროცესის კონტროლი მაინც შეზღუდულ ხასიათს ატარებდა. ამ ორგანიზაციებს სოლიდური რეპუტაცია ჰქონდათ, როგორც მიუკერძოებელ დამკვირვებლებს, თუმცა ზოგიერთნი საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

### არჩევნების დღე, ხმების დათვლა და შეჯამება

ხმის მიცემა წყნარ და მშვიდობიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა. საუბნო საარჩევნო კომისიები ზოგადად კოლეგიალურად მუშაობდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული მომზადება დადებითად აისახა მათ საქმიანობაზე. დამკვირვებელთა შეფასებით, საუბნო საარჩევნო კომისიათა 80%-მა ხმის მიცემის ორგანიზება კარგად ან ძალზედ კარგად შეძლო და იცოდა, თუ როგორ უნდა წარემართა პროცესი თუმცა, დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიათა დაახლოებით ნახევარში უბნის გახსნას კომისიის ყველა წევრი არ ესწრებოდა. დამკვირვებლებმა აგრეთვე დააფიქსირეს წინა არჩევნებთან შედარებით ისეთი საარჩევნო უბნების რიცხვის ზრდა, სადაც კამპანიის მასალები თვალსაჩინო ადგილას იყო განთავსებული.

ბევრმა საუბნო საარჩევნო კომისიამ არ იცოდა, რომ 3 პარტია უკანასკნელ მომენტში არჩევნებს გამოეთიშა და მრავალ მათგანს არ მიუღია პარტიის არჩევნიდან გამოთიშვის აღმნიშვნელი ბეჭედი. ამან გამოიწვია დაბნეულობა და ის, რომ ქვეყნის დიდი ნაწილის მრავალ საარჩევნო უბანში ბიულტენებზე არჩევნიდან გამოთიშული პარტიების მონიშვნის წესი არათანამიმდევრულად იყო განხორციელებული.

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციას ადგილი ჰქონდა მონახულებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 90%-ში. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ წესებს ამ არჩევნებში ნაკლები მონღომებით იცავდნენ. მონახულებული საარჩევნო უბნების 48%-ში ადგილი ჰქონდა ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევებს.

დარღვევები ხმის მიცემის პროცესში კვლავაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მარნეულში, გარდაბანში და ტყიბულში, სადაც, დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, ადგილი ჰქონდა მრავალჯერადი ხმის მიცემისა და ზედმეტი ბიულტენების ჩაყრის შემთხვევებს, აგრეთვე ამომრჩეველთა აქტივობის საეჭვოდ მაღალ მაჩვენებლებს.

გაყალბების საწინააღმდეგო მარკირების გამოყენება კვლავაც არათანამიმდევრული იყო ქვეყნის მრავალ რეგიონში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში (მარნეული და რუსთავი), სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და გურიაში. შემთხვევათა თითქმის 10 %-ში დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ამომრჩევლებს იშვიათად ან სულაც არ ამოწმებდნენ მელნის არსებობაზე, ხოლო შემთხვევათა დაახლოებით 7%-ში მარკირება არ ხორციელდებოდა.

მელნის არარსებობამ შეამცირა ეფექტიანობა გაყალბების საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი მექანიზმისა, რომელიც განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როდესაც ადგილი აქვს რეგისტრაციას არჩევნების დღეს. დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, მარნეულსა და გარდაბანში იყო ამომრჩეველთა სიებში იდენტური ხელმოწერების არსებობის შემთხვევები.

მიუხედავად აჭარაში არსებული დაძაბული ატმოსფეროსი, პროცესი, ქობულეთის გამოკლებით, ზოგადად კარგად იყო ორგანიზებული. ხმის მიცემა წესრიგის პირობებში მიმდინარეობდა, გარდა ხელგაჩაურის ზოგიერთი საარჩევნო უბნისა, სადაც უშუალოდ დაფიქსირდა ამომრჩეველთა ერთი უბნიდან მეორეში ავტობუსით გადაყვანა. ხულოსა და ქობულეთში დაფიქსირებულ იქნა გაცემული ამომრჩეველთა მოწმობების უჩვეულოდ მაღალი რიცხვი და მარკირების პროცედურის არაერთგვაროვანი გამოყენება.

ხმის მიცემის დროს, ატმოსფერო ზოგადად პოზიტიური იყო და დამკვირვებლებს არ მოუხსენებიათ ძალადობის შემთხვევების შესახებ. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ წინა არჩევნებთან შედარებით საარჩევნო უბნებში უფრო ნაკლები ისეთი პირი იმყოფებოდა, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა, თუმცა ისინი პროცესში უფრო აქტიურად ერეოდნენ.

შეცვლილმა და გამარტივებულმა ოქმებმა, საუბნო საარჩევნო კომისიების დამატებით მომზადებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ისეთი საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხვი, რომლებიც ოქმების შევსებისას სირთულეებს განიცდიდნენ.

დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ წინა არჩევნებთან შედარებით ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესს მეტი ადგილობრივი დამკვირვებელი ესწრებოდა და ისინი უფრო გულმოდგინედ მუშაობდნენ.

*ამ განცხადების ინგლისური ვერსია წარმოადგენს  
ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს*

---

**ინფორმაცია მისიის შესახებ და მაღლიერება**

---

ბატონი ბრიუს ჯორჯი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, დაინიშნა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის მიერ საგანგებო კოორდინატორად, რათა ეხელმძღვანელა მოკლევადიან დამკვირვებელთათვის. ბატონი მატეას იორში ხელმძღვანელობდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, ხოლო ბატონი დემეტრიო ვოლჩინი ხელმძღვანელობდა ევროპარლამენტის დელეგაციას. ელჩი მაიკლ ვაიგანტი (აშშ) სათავეში ედგა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიას.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისია თბილისში 15 თებერვალს გაიხსნა. მისი 40 ექსპერტი და

გრძელვადიანი დამკვირვებელი თბილისსა და 12 რეგიონულ ცენტრში იყო განთავსებული. არჩევნების დღეს, საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ მიავლინა დაახლოებით 440 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს წევრი 43 სახელმწიფოდან, მათ შორის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 27 წევრი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 15 წევრი და ევროპის პარლამენტის ოთხი წევრი. ევროპის საბჭომ დამატებით 21 დამკვირვებელი მიავლინა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 2860 საარჩევნო უბნიდან საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია აკვირდებოდა ხმის მიცემის პროცესს 1400 უბანზე და ხმების დათვლის პროცესს დაახლოებით 130 უბანზე. არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთა მისია აგრეთვე აკვირდებოდა ხმათა შეჯამების პროცესს 40-ზე მეტ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნების შესახებ სრულ ანგარიშს საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ, დაახლოებით, ერთი თვის ვადაში გამოაქვეყნებს.

არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოებს დაკვირვების პროცესში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიას ასევე სურს იმ მხარდაჭერის აღნიშვნა, რომელიც მისი მუშაობის განმავლობაში მას საქართველოში ეუთო-ს მისიამ და თბილისში აკრედიტებულმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საელჩოებმა აღმოუჩინეს.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ :

- ელჩ მაიკლ ვაიგანტს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელს თბილისში (+995 32 253 562);
- ურდურ გუნარსდოტირს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენელს (+48 603 683 122), ან ბატონ ნიკოლა კაჩაროვსკის, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის მრჩეველს არჩევნების დარგში, ვარშავა (+48 603 793 783);
- ანგუს მაკდონალდს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, სტრასბურგი (+33 630 496 820);
- ბატონ იან იორენს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მრჩეველს პრესის საკითხებში, კოპენჰაგენი (+45 4041 1641);
- ბატონ ტიმ ბოდენს, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი (+32 475 35 1948);

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისია: ყოფშიძის მეორე კვარტალი, პირველი კორპუსი, თბილისი, საქართველო. ტელ.: +995 32 253 526, 253 527; ფაქსი: +995 32 253 523, ელ-ფოსტა: office@odihr.cdn.ge